

საქმე ლაპარაკის ნაცვლად

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პროგრამა

50 თვე - საქმე ლაპარაკის ნაცვლად

დღეს ჩვენ მივმართავთ მთელ საქართველოს - ფსოუდან წითელ ხიდამდე, როკის გვირაბიდან ვალემდე, ახმეტიდან სარფამდე. დღეს ჩვენ მოვმართავთ თქვენ - საქართველოს თითოეულ მოქალაქეს - პენსიონერს თუ სტუდენტს, დასაქმებულს თუ უმუშევარს, სოფლის თუ ქალაქის მოსახლეს: ჩვენ ვიწყებთ 50 თვიან პროგრამას და გვაქვს ზუსტი და თანმიმდევრული სამოქმედო გეგმა, გეგმა - გათვლილი საქმის კეთებაზე და არა ლაპარაკზე, გეგმა, რომელიც სიღარიბისაგან გაათავისუფლებს და გააერთიანებს საქართველოს 50 თვის განმავლობაში.

ამ პროგრამის ქვაკუთხედებია:

- უსაფრთხოება
- ინიციატივა
- ერთობა

საქართველო ვერ გათავისუფლდება სიღარიბისგან, თუ ადამიანები არ იგრძნობენ თავს უსაფრთხოდ; საქართველო ვერ გათავისუფლდება სიღარიბისგან, თუ ხელს არ შევუწყობთ თითოეული ადამიანის ინიციატივას; საქართველო ვერ გათავისუფლდება სიღარიბისგან, თუ საზოგადოებაში არ იქნება ერთობა.

ამიტომ, ჩვენი უმთავრესი ამოცანაა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ინიციატივის განვითარება და ერთობის მიღწევა.

უსაფრთხოება

უსაფრთხოება ჩვენი ყოველდღიური საქმეა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია დაცული იყოს, როგორც მთელი სახელმწიფოს, ისე თითოეული მოქალაქის უსაფრთხოება.

უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად:

- პოლიციისა და საზოგადოების თანამშრომლობის გაძლიერებით, რომელიც საპატრულო პოლიციის შექმნით დაიწყო, ჩვენ გავაგრძელებთ ბრძოლას ქუჩის დანაშაულთან და არ დავუშვებთ ქურდული მენტალიტეტის დაბრუნებას;
- მუდმივად ვიზრუნებთ ქართული ჯარის გაძლიერებაზე;
- გავხდებით ნატოს წევრი ქვეყანა;
- გაეროს ფარგლებში შემუშავდება რუსეთთან ურთიერთობის ახალი ფორმატი;
- დავიბრუნებთ აფხაზეთს და ოსეთს, და აფხაზებსა და ოსებთან ერთად განვაგრძობთ ერთიანი, სიღარიბისაგან თავისუფალი საქართველოს შენებას. ჩვენ დღეს მათ ვთავაზობთ:
 - ⇒ გარანტირებულ წარმომადგენლობას საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაში;
 - ⇒ კულტურულ თვითმყოფადობას;
 - ⇒ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ავტონომიას.

ეს არის საქმე, რომელსაც ჩვენ გავაკეთებთ. ეს არის საქმე ლაპარაკის ნაცვლად.

ინიციატივა

ყველას შევუქმნით საშუალებას გამოიჩინოს ინიციატივა, თითოეულ ადამიანს მიეცემა საშუალება იმუშავოს, დაიწყოს ბიზნესი, დაძლიოს სიღარიბე საკუთარ ოჯახში, რადგან ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე იწყება თითოეული ოჯახის კეთილდღეობიდან. ასე ვაქცევთ ჩვენ რეალობად საქართველოს სიღარიბის გარეშე.

ინიციატივა ნიშნავს მეწარმეობის წახალისებას, განათლების განვითარებას, კანონმდებლობის დახვეწას და მეტი სამუშაო ადგილის შექმნას საქართველოში.

ინიციატივის მხარდასაჭერად:

- ჩამოვაცალიბებთ მდგრად ფინანსურ სისტემას და ამით გავაიაფებთ კრედიტს; იაფი კრედიტით ხელს შევუწყობთ რეგიონულ განვითარებას, რომ ახალი საწარმოები, ახალი სამუშაო ადგილები იქმნებოდეს მთელ საქართველოში, ყველაზე პატარა სოფელშიც კი;

- გავაგრძელებთ გადასახადების შემცირებას, რაც დასაქმებას, დაგროვებას და ეკონომიკის ზრდას შეუწყობს ხელს:
 - ⇒ საშემოსავლო გადასახადს 25%-დან 15%-მდე შევამცირებთ და ეს საშუალებას მოგვცემს შევქმნათ მეტი სამუშაო ადგილი;
 - ⇒ გავაუქმებთ გადასახადებს დივიდენდებსა და დეპოზიტებზე - საქართველოში შემოვა ახალი კაპიტალი, რომელიც შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს;
- დაჩქარებული და დამარტივებული ბიუროკრატიული პროცედურებით და წესებით გავზრდით საქართველოს მიმზიდველობას ბიზნესის კეთებისათვის. საქართველოს გადავაქცევთ საერთაშორისო საფინანსო, სავაჭრო და სამრეწველო ცენტრად. შეიქმნება ათასობით ახალი ბიზნესი და შესაბამისად ათეულათასობით სამუშაო ადგილი საქართველოს ყველა რეგიონში;
- სრული სიმძლავრით ამოქმედდება ფოთის ინდუსტრიული ზონა, რაც ნიშნავს 35 000-ზე მეტი ადამიანის დასაქმებას, დასავლეთ საქართველოს ინდუსტრიული პოტენციალის აღორძინებას;
- დავიწყებთ თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შექმნას აფხაზეთსა და ოსეთში;
- ყველა სკოლაში იქნება გათბობა, შუქი, ყველა სკოლა იქნება აღჭურვილი კომპიუტერებით და სხვა ინვენტარით; საუკეთესო მოსწავლეებს, საუკეთესო სტუდენტებს, შევუქმნით სწავლის საუკეთესო პირობებს.

ეს არის საქმე, რომელსაც ჩვენ გავაკეთებთ - საქმე ლაპარაკის ნაცვლად, რაც გაზრდის ყოველი ჩვენგანის ინიციატივას, შექმნის უფრო მეტ სამუშაო ადგილს და რეალობად აქცევს ერთიან საქართველოს სიღარიბის გარეშე.

ერთობა

ჩვენი ძალაა ქრისტიანობაზე დამყარებული მრავალფეროვნება, ქვეყანა, სადაც მრავალი განსხვავებული წარმომავლობის, მრწამსის, შეხედულებების ადამიანი

ცხოვრობს. ჩვენი ძალა ჩვენს ერთობაშია. საქართველოს თითოეული მოქალაქე ჩვენი საზოგადოების თავისუფალი და თანასწორუფლებიანი წევრი იქნება.

ჩვენ აღვადგენთ ერთიან ქვეყანას, ერთიან საზოგადოებას, გავაერთიანებთ სოფელს და ქალაქს, გაჭირვებულს და შეძლებულს, მოხუცს და ახალგაზრდას, წარსულს და აწმყოს.

ჩვენ გავაერთიანებთ მთავრობას და ხალხს, რათა მთავრობა ხალხს მოემსახურება პატიოსნად, გამჭვირვალედ და ანგარიშვალდებული იყოს მის წინაშე.

ერთობის მისაღწევად:

- გავატარებთ ღრმა საპენსიო რეფორმას, რაც საშუალებას მოგვცემს საპენსიო პაკეტი გახდეს 100 დოლარი;
- სოციალურ დახმარებას მიიღებს ყველა, ვინც დღეს მას უსამართლოდ ვერ იღებს. სახელმწიფო დაეხმარება ყველა გაჭირვებულ ადამიანს, მაგრამ უფრო მეტად დაეხმარება იმ ადამიანებს, რომლებიც ამას ყველაზე მეტად საჭიროებენ. მეტი დახმარება უფრო გაჭირვებულს - ასეთი იქნება ჩვენი სოციალური პოლიტიკა;
- ჯანმრთელობის დაზღვევით ისარგებლებს ყველა ხელმოკლე ოჯახი, მასწავლებელი, პოლიციელი. სახელმწიფო დაზღვევა გავრცელდება მილიონ ორასი ათას ადამიანზე;
- მომავალი 25 თვის განმავლობაში გაზიფიცირებული იქნება 2000 სოფელი;
- საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებას მოხმარდება 1 მილიარდ ლარზე მეტი და ეს საშუალებას მოგვცემს, რომ შეიქმნას 10 000-ზე მეტი სამუშაო ადგილი;
- გაგრძელდება სოფლის ექიმის პროგრამა. 1200-ზე მეტი კარგად აღჭურვილი, გადამზადებული სოფლის ექიმი იზრუნებს სოფლის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე;
- გავაგრძელებთ კორუფციასთან ბრძოლას და საჯარო სამსახურის პროფესიონალიზმსა და ღირსებაზე დამყარებული სისტემის შექმნას. ჩვენ არ დავუმვებთ, უკან დაბრუნდეს ის დრო, როდესაც საჯარო სამსახურში

თანამშრომლების აყვანა ხდებოდა ნათესაობისა და მეგობრობის ნიშნით, როდესაც სამსახურში მოდიოდნენ "ფულის გასაკეთებლად";

- მუდმივად გვექნება დიალოგი ყველა პოლიტიკურ პარტიასთან, რადგან აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ჩვენ საერთო მიზანი გვაქვს - საქართველოს კეთილდღეობა, და ჩვენ ყველას გვიყვარს საქართველო;
- გავაგრძელებთ ჩვენი ისტორიული მემკვიდრეობის დაცვას:
 - ⇒ ეკლესიების განახლებაზე, ფოლკლორის დაცვაზე, მუზეუმების განვითარებაზე დავხარჯავთ 100 მილიონ ლარს;
 - ⇒ ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ ქართული ენის სწავლებას. სკოლებში ქართული ენის სწავლების გაძლიერებისათვის, გაუმჯობესებისათვის დავხარჯავთ დამატებით 10 მილიონ ლარს;

ეს არის საქმე, რომელსაც ჩვენ გავაკეთებთ - საქმე ლაპარაკის ნაცვლად.

ეს არის ჩვენი პროგრამა ეს არის ჩვენი სამოქმედო გეგმა, ეს არის გზა, რომლითაც ვივლით მომდევნო 50 თვის მანძილზე, ეს არის ჩვენი საქმე - საქართველოს სიღარიბისაგან გათავისუფლება.

საქართველო გაბრწყინდება!